პს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

2023 წელი

პროფესიული პრაქტიკის განხორციელების წესი

პრაქტიკის მიზნები

1. პროფესიული პრაქტიკა წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს, სტუდენტს გამოუმუშაოს პროფესიასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარები, მისცეს საშუალება, მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს რეალურ სამუშაო გარემოში, განუვითაროს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციები. პროფესიული პრაქტიკა ასევე ისახავს მიზნად, ხელი შეუწყოს სტუდენტების დასაქმებასა და კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებას.
2. პროფესიული პრაქტიკის შინაარსი და დეტალები განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილი შესაბამისი სილაბუსით (დანართი N4).
3. პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევენ პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი მენტორი და გთუნის მხრიდან დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელი.

პრაქტიკის ფორმები

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც:

1) დამოუკიდებელი კურსი/მოდული შესაბამისი კრედიტით. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი კრავს, ამთლიანებს და ამტკიცებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც პროგრამის მონაწილე დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული (არსებობის შემთხვევაში) პრაქტიკის გავლის პერიოდში;
2) სალექციო კურსის/მოდულის შემადგენელი ნაწილი (ე.წ. კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა), რომელიც ინტეგრირებულია პროგრამის სასწავლო კურსებში და ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. ჩაშენებული პრაქტიკის შემთხვევაში გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსისთვის დათმობილი საათების რაოდენობა.

პრაქტიკის განხორციელების ეტაპები:

1. მოსამზადებელი შეხვედრა, სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ.
2. პრაქტიკის ადგილის გაცნობა მენტორის მიერ.
3. სტუდენტის ჩართვა პრაქტიკის პროცესში და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება (პრაქტიკის დღიური - დანართი #1).
4. სტუდენტის რეგულარული მენტორინგი პრაქტიკის ობიექტზე.
5. სტუდენტის კონსულტირება და მონიტორინგი პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ.
6. პრაქტიკის შუალედური შეფასება მენტორის (დანართი #3) მიერ.
7. პრაქტიკის ანგარიშის მომზადება (დანართი #2).
8. პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა კომისიის წინაშე (დანართი #5).

პრაქტიკის ობიექტი

1. პრაქტიკა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, რომელიც შეიძლება იყოს:

1) ორგანიზაცია, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურს, დასახელებას, სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.
2) ორგანიზაცია, რომელიც შერჩეულია სტუდენტის მიერ, დამოუკიდებლად, თუ კი ორგანიზაცია წერილობით უდასტურებს უნივერსიტეტს მზადყოფნას უზრუნველყოს სტუდენტის პრაქტიკის გავლა (მენტორის გამოყოფა, პრაქტიკის პროგრამის შესრულება, სტუდენტის შეფასება).
3) უნივერსიტეტის სასწავლო ინკუბატორი, კლინიკა, ლაბორატორია, ცენტრი ან სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ერთეული, რომელშიც სტუდენტი მიიღებს შრომითი ურთიერთობის მსგავს პროფესიული საქმიანობის გამოცდილებას, ან/და მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარ(ებ)ს.
4) ორგანიზაცია, რომელშიც დასაქმებულია სტუდენტი პროფილის შესაბამისად, თუ ორგანიზაცია გამოხატავს მზადყოფნას პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად,

უზრუნველყოს პრაქტიკის პროგრამის განხორციელება დაეხმაროს სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და პრაქტიკის ანგარიშის დაცვისათვის საჭირო მასალის მოგროვებაში.

5) ორგანიზაცია (მ.შ. საზღვარგარეთ), რომელშიც სტუდენტი გადის გრძელვადიან სტაჟირებას, რომლის პროგრამა და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია გთუნის პრაქტიკის პროგრამასთან; პრაქტიკა ჩაითვლება გავლილად, სტუდენტი წარმოადგენს დოკუმენტს სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, პრაქტიკის დღიურს, პრაქტიკის ანგარიშს და დაიცავს პრაქტიკის ანგარიშს კომისიის წინაშე. სტუდენტის მიერ გავლილი პრაქტიკა ან სტაჟირება აღიარებული იქნება ჩათვლილად, თუ პრაქტიკის პერიოდი ემთხვევა პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკისთვის განკუთვნილ პერიოდს (საბაკალავრო პროგრამებში მე-8 სემესტრი, სამაგისტრო პროგრამებში მე-3/4 სემესტრი).

2. პრაქტიკის ობიექტი უნდა უზრუნველყოფდეს პრაქტიკის ჩატარების სათანადო პირობებს და ქმნიდეს უსაფრთხო გარემოს სტუდენტისთვის.

3. პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს - პირს, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტის პრაქტიკის პროცესს სამუშაო ადგილზე, ეხმარება მას მიზნების მიღწევაში და აფასებს სტუდენტის/სტუდენტების მიერ ჩატარებულ სამუშაოს.

პრაქტიკის ორგანიზება

1. სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტებზე ანაწილებს პროგრამის ხელმძღვანელი და აღნიშნულ ინფორმაციას წერილობით აწვდის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. სტუდენტებს შეუძლიათ შეარჩიონ მათთვის სასურველი პრაქტიკის ობიექტი იმ ორგანიზაციებიდან, რომელთანაც გთუნის გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.
2. სტუდენტთა პრაქტიკა წარიმართება პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, რომელიც შემუშავდება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

3. პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრაქტიკის ხელმძღვანელს პრაქტიკის ობიექტთან ერთად.
4. პრაქტიკა, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო კომპონენტს ხორციელდება საბაკალავრო საფეხურზე - დამამთავრებელ სემესტრში, სამაგისტრო საფეხურზე - სწავლების მეორე წელს.
5. პრაქტიკა, რომელიც წარმოადგენს სალექციო კურსის/მოდულის შემადგენელ ნაწილს ხორციელდება სილაბუსის გრაფიკის შესაბამისად.
6. პრაქტიკის მოცულობა და ხანგრძლივობა განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით.
7. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება რექტორის ბრძანებით გადატანილ იქნეს გონივრული ვადით, პრაქტიკის ობიექტთან შეთანხმებით.
8. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში, როდესაც პრაქტიკის ობიექტის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება პრაქტიკის ფიზიკური ფორმით განხორციელება, დასაშვებია პრაქტიკის გავლა განხორციელდეს დისტანციურ ფორმატში. ასეთ შემთხვევაშიც, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა.

პრაქტიკის ხელმძღვანელი

1. პრაქტიკის ხელმძღვანელი პრაქტიკის დაწყებამდე აცნობს სტუდენტს პრაქტიკის სილაბუსს და აწვდის ინფორმაციას: ეთიკის ნორმების შესახებ, რომელიც მან უნდა დაიცვას პრაქტიკის ობიექტზე; მისაღწევი სწავლის შედეგების შესახებ; პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ; დღიურის წარმოების წესისა და ანგარიშის მომზადების შესახებ; პროფესიული პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ.
2. პრაქტიკის ხელმძღვანელი უწევს სტუდენტს მეთოდურ დახმარებას ინდივიდუალური დავალებების შესრულებში, პრაქტიკის ანგარიშის მომზადებაში.
3. პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს პრაქტიკის მონიტორინგს, ვიზიტ(ებ)ს პრაქტიკის ადგილზე, გარკვეული პერიოდულობით განიხილავს სტუდენტის დღიურს და ისმენს მისგან ინფორმაციას პრაქტიკის მსვლელობის შესახებ.

4. პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს სტუდენტის შუალედურ შეფასებას.

პრაქტიკის დღიური

1. სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა დღიურში, რაც მას დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის მომზადებაში.
2. პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, შესრულებული დავალებების/სამუშაოების აღწერასა და ანალიზს.
3. პრაქტიკის დღიურის მიხედვით სტუდენტს აფასებს პრაქტიკის ხელმძღვანელი.
4. პრაქტიკის დღიურს თან ერთვის მენტორის შეფასება.

პრაქტიკის ანგარიში

1. პრაქტიკის ანგარიშს სტუდენტი წერს პრაქტიკის დასრულების შემდეგ და იცავს კომისიის წინაშე.
2. პრაქტიკის ანგარიში უნდა შეიცავდეს ყველა იმ საკითხის მოკლე მიმოხილვას, რომელიც სტუდენტმა შეისწავლა და შეასრულა პრაქტიკის განმავლობაში. ასევე, უნდა ასახავდეს სტუდენტის თვითანალიზსა და დასკვნებს.
3. პრაქტიკის ანგარიშის ტექსტის დაკაბადონების წესი:

- ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის სახე - Sylfaen;
- ტექსტის შრიფტის ზომა - 11;
- თავები/ქვეთავების შრიფტის ზომა - 12;
- სქოლიოს შრიფტის ზომა -10;
- სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
- ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -2,5 სმ, მარჯვნიდან - 2,5 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან - 2.5 სმ;
- ანგარიშის მოცულობა - მინიმუმ 10 გვერდი;

პრაქტიკის შეფასების სისტემა

1. პრაქტიკის შეფასება ხდება ქულათა სისტემით. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.
2. პრაქტიკის შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და პრაქტიკის ანგარიშის დაცვის (დასკვნითი შეფასების) ქულათა ჯამი. ამასთან, შუალედური შეფასებების ხვედრითი წილია 60%, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა - 40 %.
3. შუალედურ შეფასებებს ახორციელებენ:
   - პრაქტიკის ხელმძღვანელი
   - მენტორი

   პრაქტიკის ხელმძღვანელი აფასებს სტუდენტის მიერ წარმოებულ პრაქტიკის დღიურსა და სტუდენტის აქტიურობას. მენტორი აფასებს სტუდენტის მხრიდან პრაქტიკის ობიექტზე გაწეულ სამუშაოს.
4. პრაქტიკის ანგარიშის შეფასებას ახორციელებს კომისია, სემესტრის ბოლოს.
5. პრაქტიკის შეფასების კომპონენტებია:

შეფასების კომპონენტები	**შემფასებელი**	**შეფასების ქულა**	**შეფასების პერიოდი**
1. შუალედური შეფასება I	პრაქტიკის ხელმძღვანელი	20 ქულა (ზღვარი 10 ქულა)	პრაქტიკის ბოლოს
2. შუალედური შეფასება II	მენტორი	40 ქულა (ზღვარი 20 ქულა)	პრაქტიკის ბოლოს
3. დასკვნითი შეფასება (პრაქტიკის ანგარიშის დაცვა)	კომისია	40 ქულა (ზღვარი 21 ქულა)	სემესტრის ბოლოს (ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული გრაფიკით)

პრაქტიკის ანგარიშის შეფასება

1. პრაქტიკის ანგარიშის დასკვნითი შეფასება ხორციელდება განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ხოლო შეფასების ქულა წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს.
2. პრაქტიკის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
3. პრაქტიკა შესრულებულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასებაა 51 ქულა ან მეტი.
4. პრაქტიკის არადამაკმაყოფილებლად (FX) შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა პრაქტიკის დაცვაზე დამატებით ერთხელ გასვლის უფლება, პირველი დაცვიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
5. თუ საბოლოო შეფასება შეადგენს 40 ქულას და ნაკლებს სტუდენტი პრაქტიკის დაცვაზე დამატებით არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა).
6. სტუდენტი, რომელიც არ წარმოადგენს პრაქტიკის დღიურს და ანგარიშს განმეორებით გადის პრაქტიკას, რაც სტუდენტისთვის წარმოქმნის დამატებით ფინანსურ ვალდებულებას.
7. პრაქტიკის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი და პრაქტიკის დოკუმენტაციასთანერთად ინახება არქივში.

პრაქტიკის ანგარიშის დაცვა (დასკვნითი შეფასება)

1. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ხდება საჯაროდ, ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი კომისიის წინაშე, რომელსაც ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი. დაცვის პროცედურა ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.
2. კომისია შედგება მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 6 წევრისგან. პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.
3. კომისიის წევრი შესაძლოა იყოს მოწვეული სპეციალისტი.

4. პრაქტიკის ანგარიშის დაცვას უნდა ესწრებოდეს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი.
5. პრაქტიკის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს პრაქტიკის დღიური, ხელმოწერილი დაწესებულებიდან დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.
6. პრაქტიკის ანგარიშის დაცვის თარიღს განსაზღვრავს ფაკულტეტი.
7. სტუდენტი პრაქტიკის ანგარიშის დასაცავად კომისიის წინაშე დაიშვება, თუ მის მიერ პრაქტიკის შუალედური შეფასების კომპონენტებში მიღებული ქულათა ჯამი შეადგენს 30-ს ან მეტს.
8. პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:

- პრაქტიკის ანგარიშის წარდგენას;
- კითხვა-პასუხს;
- დისკუსიას.
- შეფასებას.

პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვისთვის განკუთვნილია 15 წუთი.

9. პრაქტიკის ანგარიშის შეფასების პროცესში კომისიის სხდომა დახურულად ცხადდება. კომისიის წევრები პრაქტიკის ანგარიშს აფასებენ შეფასების დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.
10. კომისიის გადაწყვეტილებას პრაქტიკის ანგარიშის დაცვის და დასკვნითი შეფასების შესახებ სტუდენტს აცნობს კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე.

აპელაცია

1. პრაქტიკის კომპონენტის შეფასების გაცნობიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში სტუდენტი უფლებამოსილია შეფასების გასაჩივრების მიზნით, სააპელაციო განაცხადით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს;

2. სააპელაციო განაცხადით მიმართვის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მიუთითოს რა ნაწილში არ ეთანხმება შეფასებას და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტაცია;

3. სააპელაციო განაცხადის საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას, სააპელაციო კომისია 3 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტის პირველად შეფასებაში.

4.სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვისას, მას შესაძლოა დაესწროს პრაქტიკის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და კომისიის გადაწყვეტილებით სხვა ისეთი პირი რომლის მოსაზრება შესაძლოა არსებითი იყოს საქმეზე სიმართლის დასადგენად და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად;

5. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს: ფაკულტეტის დეკანი, პრაქტიკის ხელმძღვანელი, მენტორი, პრაქტიკის ანგარიშის დაცვის კომისიის წევრი.

6. სააპელაციო კომისია, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო განაცხადის შემთხვევაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა. პრაქტიკის ანგარიშს აბრუნებს დაცვის კომისიაზე, ხელახალი განხილვისთვის;

ბ. უცვლელად ტოვებს არსებულ შეფასებას;

გ. განუხილველად ტოვებს სააპელაციო განაცხადს თუ ეს უკანასკნელი სრულად დაუსაბუთებელია.

6. კომისია ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება;

7.სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტსა და შესაბამის ფაკულტეტს.

დანართები:

დანართი 1. პრაქტიკის დღიურის ფორმა

დანართი 2. პრაქტიკის ანგარიშის ფორმა

დანართი 3. მენტორის შეფასების ფორმა

დანართი 4. პრაქტიკის სილაბუსის ფორმა

დანართი 5. კომისიის შეფასების ფორმა

დანართი 6. სტუდენტის მიერ პრაქტიკის შეფასების ფორმა

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

პრაქტიკის დღიური

პრაქტიკის განხორციელების ადგილი:

პრაქტიკის პერიოდი:

სტუდენტის სახელი და გვარი:

პრაქტიკის ხელმძღვანელი:

მენტორი:

თბილისი

წელი

პრაქტიკის დღიური

შესრულებული სამუშაოს აღწერა:
I კვირა *შესრულებული სამუშაოს აღწერა:*   ***II კვირა*** *შესრულებული სამუშაოს აღწერა:*

დანართი #2

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

პრაქტიკის ანგარიში

ფაკულტეტი:	
საგანმანათლებლო პროგრამა:	
სტუდენტის სახელი და გვარი:	
პრაქტიკის განხორციელების ადგილი:	
ECTS კრედიტების რაოდენობა:	
პრაქტიკის პერიოდი:	
პრაქტიკის ხელმძღვანელი:	
მენტორი:	

თბილისი

(წელი)

პრაქტიკის ანგარიში

შინაარსი:

ორგანიზაციის (პრაქტიკის ობიექტის) აღწერა

(ანგარიშის ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას ორგანიზაციის შესახებ - სრული დასახელება, ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის ასპექტები და ა.შ.)

პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა

(სტუდენტმა უნდა ჩამოთვალოს და აღწეროს აქტივობები/დავალებები, რომელსაც ასრულებდა. საქმიანობის/აქტივობების ჩამონათვალი უნდა პასუხობდეს პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრულ დავალებებსა და დღიურის ჩანაწერებს)

3. შესრულებული სამუშაოს შეფასება და რეფლექსია

(სტუდენტმა უნდა გააანალიზოს და შეაფასოს პრაქტიკის პროცესში მიღებული გამოცდილება, მოახდინოს თვითრეფლექსია, თუ რა ცოდნა და უნარები შეიძინა, რა სირთულეებს გადააწყდა და როგორ გადაჭრა პრობლემები. შეაფასოს, რა გავლენა მოახდინა მიღებულმა პრაქტიკამ და რა კუთხით დაანახა პროფესია)

4. დასკვნები და რეკომენდაციები

(სტუდენტმა უნდა შეაჯამოს პრაქტიკის ობიექტზე მუშაობის შედეგად, რა დასკვნები გააკეთა და რა რეკომენდაციები შეუძლია წარმოადგინოს პროცესში გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად)

5. დანართები (არსებობის შემთხვევაში)

(სტუდენტმა შეიძლება ანგარიშს დაურთოს პრაქტიკის მიზნებისა და გაწეული საქმიანობის შესაბამისი მნიშვნელოვანი მასალა, მისი შეხედულებისამებრ)

სტუდენტის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი #3

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება

ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი ----------

სტუდენტის სახელი/გვარი ----------

პრაქტიკის პერიოდი----------

შეფასების კრიტერიუმები:	**მაქსიმალური შეფასება 4(** **(მინიმალური გადასალახი 2**	
	კრიტერიუმის მაქსიმალური ქულა	სტ
შესრულებული სამუშაო (თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ინტერპრეტირება, პრაქტიკის მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანებისა და დავალებების შესრულება)	10 ქულა	
შემოქმედებითი აზროვნების უნარი	5 ქულა	
დროის ეფექტიანად გამოყენების უნარი	5 ქულა	
ეთიკური ნორმების დაცვის უნარი	5 ქულა	
საკუთარ და სხვის საქმიანობაზე/განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი	5 ქულა	
კომუნიკაციის უნარი	5 ქულა	
გუნდური მუშაობის უნარი	5 ქულა	

შესრულებული სამუშაო - 10 ქულა

10 ქულა - სტუდენტი პრაქტიკისთვის მომზადებულია სრულყოფილად, ავლენს თეორიული ცოდნის მაღალ დონეს და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისას არ უშვებს შეცდომებს, ახდენს ცოდნის მართებულ ინტერპრეტაციას. პრაქტიკის სილაბუსის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტი ზედმიწევნით სწორად და თანმიმდევრულად ასრულებს კონკრეტული ამოცანებსა და დავალებებს.

8-9 ქულა- სტუდენტი პრაქტიკისთვის კარგადაა მომზადებული, ავლენს თეორიული ცოდნის მაღალ დონეს და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისას უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს. ცოდნის ინტერპრეტაციას უმეტესად მართებულად ახორციელებს. პრაქტიკის სილაბუსის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტი უმეტესად სწორად ასრულებს კონკრეტული ამოცანებსა და დავალებებს.

6-7 ქულა - სტუდენტი თეორიულად მეტწილად კარგადაა მომზადებული. ახდენს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების დროს დაშვებული შეცდომების დროულ გამოსწორებას. პრაქტიკის სილაბუსის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტი უმეტესად სწორად და თანმიმდევრულად ასრულებს კონკრეტული ამოცანებსა და დავალებებს.

4-5 ქულა - სტუდენტის თეორიული მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია. ახდენს პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. პრაქტიკის სილაბუსის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტი ნაწილობრივ სწორად და თანმიმდევრულად ასრულებს კონკრეტული ამოცანებსა და დავალებებს.

1-3 ქულა - სტუდენტის თეორიული მომზადების დონე სუსტია. უჭირს პრაქტიკაში გამოყენება და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს. თითქმის ვერ ახერხებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. პრაქტიკის სილაბუსის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტი იშვიათად ასრულებს კონკრეტული ამოცანებსა და დავალებებს მართებულად.

0 ქულა - სტუდენტის თეორიული მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია. უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს, რომლის გამოსწორებასაც ვერ ახერხებს. პრაქტიკის სილაბუსის მიზნებიდან გამომდინარე მიცემულ დავალებებს ვერ ასრულებს.

	5 ქულა	4 ქულა	3 ქულა	2 ქულა
შემოქმედებითი აზროვნების უნარი	ავლენს სრულყოფილად	ავლენს მეტწილად	ნაწილობრივ ავლენს	იშვიათად ავლ
დროის ეფექტიანად გამოყენების უნარი	ავლენს სრულყოფილად	ავლენს მეტწილად	ნაწილობრივ ავლენს	იშვიათად ავლ
ეთიკური ნორმების დაცვის უნარი	ავლენს სრულყოფილად	ავლენს მეტწილად	ნაწილობრივ ავლენს	იშვიათად ავლ
საკუთარ და სხვის საქმიანობაზე/განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი	ავლენს სრულყოფილად	ავლენს მეტწილად	ნაწილობრივ ავლენს	იშვიათად ავლ
კომუნიკაციის უნარი	ავლენს სრულყოფილად	ავლენს მეტწილად	ნაწილობრივ ავლენს	იშვიათად ავლ
გუნდური მუშაობის უნარი	ავლენს სრულყოფილად	ავლენს მეტწილად	ნაწილობრივ ავლენს	იშვიათად ავლ

ხელისმომწერის ვინაობა და თანამდებობა:

საკონტაქტო ინფორმაცია:

ხელმოწერა:

თარიღი:

ბ.ა.

დანართი #4

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი:

პროგრამა:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური:

პრაქტიკის სილაბუსი

პრაქტიკის	*მიუთითეთ სახელი, გვარი, აკადემიური სტატუსი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი,*

ხელმძღვანელი	*მოწვეული ლექტორი)* **საკონტაქტო ინფორმაცია:** *(მიუთითეთ ელ. ფოსტა და ტელ. ნომერი)* **საკონსულტაციო დრო:** *(მიუთითეთ კონსულტაციისთვის განკუთვნილი დღე და დრო, ან მიუთითეთ, რომ საკონსულტაციო დრო და ფორმატი შეთანხმდება სტუდენტებთან ერთად სასწავლო სემესტრის დასაწყისში)*
სტატუსი	სავალდებულო
დაშვების წინაპირობა	*მიუთითეთ სასწავლო კურსის/კომპონენტის დასახელება, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული კურსის წინაპირობას. თუ ორი ან მეტი სასწავლო კურსი წარმოადგენს წინაპირობას, მიუთითეთ ის, რომელიც სასწავლო გეგმის მიხედვით, ბოლოს ისწავლება. თუ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა მიუთითეთ ,,წინაპირობის გარეშე“*
სასწავლო კურსის მოცულობა (ECTS)	*მიუთითეთ კრედიტების რაოდენობა*
საათების განაწილება	**სულ: -- სთ.** *(მიუთითეთ თქვენი კურსისთვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად. 1 კრედიტი=25 საათს; 5-კრედიტიანი საგნის მოცულობა იქნება 125 სთ)* **საკონტაქტო საათები: --** *მიუთითეთ საათების რაოდენობა და ჩაშალეთ* *პრაქტიკის ობიექტზე -* *პრაქტიკის ხელმძღვანელთან მუშაობისთვის -* **დამოუკიდებელი სამუშაო:** -- **სთ.** *(მიუთითეთ სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი დრო. კრედიტის მოცულობით განსზღვრული საათები= საკონტაქტო საათები+ სტუდენტისთვის დამოუკიდებელი მუშობისთვის საჭირო დრო)*
პრაქტიკის მიზანი	

აღწერეთ, რა არის კურსის მიზანი/მიზნები. მიზანი/მიზნები უნდა იყოს ნათელი, მიღწევადი და შეესაბამებოდეს შესაბამისი საფეხურის სირთულეს

მოსალოდნელი სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები უნდა იყოს კონკრეტული და მიღწევადი. თითოეული სწავლის შედეგის მიღწევადობის იზომება ამავე სასწავლო კურსის ფარგლებში, შესაბამისი მექანიზმებით. სწავლის შედეგები არ უნდა იყოს ბევრი (სასურველია, 6-8). სწავლის შედეგების ფორმულირება ხდება აწმყო დროში (ჩამოთვლის, ახდენს, აანალიზებს და ა.შ.)

ცოდნა და გაცნობიერება
1.
2...

უნარი
3.
4...

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
5.

პრაქტიკის ეტაპები:

9. მოსამზადებელი შეხვედრა, სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ
10. პრაქტიკის ობიექტის გაცნობა მენტორის მიერ.
11. სტუდენტის ჩართვა პრაქტიკის პროცესში და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება (პრაქტიკის დღიური).
12. სტუდენტის კონსულტირება და მონიტორინგი პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ.
13. პრაქტიკის შუალედური შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ.
14. პრაქტიკის ანგარიშის (ან პროექტის) მომზადება.
15. პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა (დასკვნითი შეფასება).

შეფასების სისტემა

სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) **ფრიადი**– შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) **ძალიან კარგი**– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) **კარგი**– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) **დამაკმაყოფილებელი**– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) **საკმარისი**– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) **ვერ ჩააბარა**– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) **ჩაიჭრა**– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები	**შემფასებელი**	**შეფასების ქულა**	**შეფას პერი**
4. შუალედური შეფასება I	პრაქტიკის ხელმძღვანელი	20 ქულა *(მინ. ზღვარი 10 ქულა)*	პრაქტ ბოლ
5. შუალედური შეფასება II	მენტორი	40 ქულა *(მინ. ზღვარი 20 ქულა)*	პრაქტ ბოლ
6. დასკვნითი შეფასება (პრაქტიკის ანგარიშის დაცვა)	კომისია	40 ქულა *(მინ. ზღვარი 21 ქულა)*	სემესტრი (ფაკულ მი განსაზღ გრაფი

დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა შუალედური და დასკვნითი (ან დამატებითი) შეფასებების ჯამით უნდა დააგროვოს **მინიმუმ 51 ქულა.**

დამატებით, სტუდენტმა თითოეულ კომპონენტში უნდა გადალახოს კომპონენტით განსაზღვრული **მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.**

პრაქტიკის ანგარიშის კომისიის წინაშე დაცვა **სავალდებულოა.**

შეფასების კრიტერიუმები:

შუალედური შეფასება I - პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის შეფასება - **20 ქულა;** I შუალედურ შეფასებაში პრაქტიკის ხელმძღვანელი აფასებს სტუდენტის აქტიურობას სამუშაო პროცესში (5 ქულა) და პრაქტიკის დღიურს (15 ქულა);

აქტიურობა - 5 ქულა

- **5 ქულა -** სტუდენტი დაესწრო სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა შეხვედრას, აქტიურად იყო ჩართული შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვის პროცესში, მუდმივად ახდენდა რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. პრაქტიკის ანგარიშზე მუშაობისას სრულად ითვალისწინებდა მიცემულ მითითებებს და ასრულებდა დადგენილ ვადებში.
- **4 ქულა -** სტუდენტი დაესწრო სილაბუსით გათვალისწინებულ შეხვედრების უმრავლესობას, ჩართული იყო შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვის პროცესში, ხშირად ახდენდა რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. პრაქტიკის ანგარიშზე მუშაობისას უმეტესად ითვალისწინებდა მიცემულ მითითებებს და თითქმის ყოველთვის წარმოადგენდა დადგენილ ვადებში.
- **3 ქულა -** სტუდენტი დაესწრო სილაბუსით გათვალისწინებული შეხვედრების მინიმუმ ნახევარს, მონაწილეობდა შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვის პროცესში, ნაწილობრივ ახდენდა რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. პრაქტიკის ანგარიშზე მუშაობისას ნაწილობრივ ითვალისწინებდა მიცემულ მითითებებს და ნაწილობრივ წარმოადგენდა შესრულებულ სამუშაოს დადგენილ ვადებში.
- **2 ქულა -** სტუდენტი დაესწრო შეხვედრების ნახევარზე ნაკლებს, პასიური იყო შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვის პროცესში, იშვიათად ახდენდა რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე. პრაქტიკის ანგარიშზე მუშაობისას იშვიათად ითვალისწინებდა მიცემულ მითითებებს და იშვიათად წარმოადგენდა დადგენილ ვადებში.
- **1 ქულა -** სტუდენტი დაესწრო სულ რამდენიმე შეხვედრას, არ იყო ჩართული შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვის პროცესში, შესრულებულ სამუშაოზე რეფლექსია თითქმის ვერ მოახდინა. პრაქტიკის ანგარიშზე მუშაობისას თითქმის არ ითვალისწინებდა მიცემულ მითითებებს და თითქმის არასდროს წარმაოდგენდა დადგენილ ვადებში.
- **0 ქულა -** სტუდენტი არ დაესწრო არცერთ შეხვედრას.

პრაქტიკის დღიურის შეფასება - 15 ქულა;

15 ქულა - პრაქტიკის დღიური სრულყოფილად და დეტალურად აღწერს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებულ სამუშაოს. დღიური ყოველთვის წარმოდგენილია დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, სამუშაო შეესაბამება პრაქტიკის მიზნებსა და ამოცანებს, შესრულებულია დადგენილ დროში. დღიურის ტექნიკური ნაწილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია სრულად.

13-14 ქულა - პრაქტიკის დღიური სრულად და უმეტესწილად დეტალურად აღწერს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებულ სამუშაოს. დღიური უმეტესად შესრულებულია დადგენილ დროში. დღიურის ტექნიკური ნაწილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია სრულად.

10-12 ქულა - პრაქტიკის დღიური თითქმის სრულად აღწერს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებულ სამუშაოს თუმცა დეტალიზება აკლია. შესრულებული სამუშაო შეესაბამება პრაქტიკის მიზნებსა და ამოცანებს. დღიური ხშირად შესრულებულია დადგენილ დროში. ტექნიკური ნაწილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

7-9 ქულა - პრაქტიკის დღიური ნაწილობრივ აღწერს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებულ სამუშაოს. შესრულებული სამუშაო მეტწილად შეესაბამება პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. დღიური ზოგჯერაა შესრულებულია დადგენილ დროში. ტექნიკური ნაწილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4-6 ქულა - პრაქტიკის დღიური სრულად ვერ აღწერს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებულ სამუშაოს, აკლია მნიშვნელოვანი დეტალები და ინფორმაცია მწირია. შესრულებული სამუშაო ნაწილობრივ შეესაბამება სილაბუსით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. დღიური იშვიათადაა შესრულებულია დადგენილ დროში. ტექნიკური ნაწილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ნაწილობრივაა დაკმაყოფილებული.

1-3 ქულა - პრაქტიკის დღიური თითქმის ვერ ილება ინფორმაციას სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაოს შესახებ. შესრულებული სამუშაო იშვიათად შეესაბამება სილაბუსით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. დღიური თითქმის არასდროსაა შესრულებული დადგენილ დროში. ტექნიკური ნაწილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები არაა დაცული.

0 ქულა - ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ მოთხოვნებს ან არ არის წარმოდგენილი.

შუალედური შეფასება II - მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება - 40 ქულა

მენტორის მხრიდან სტუდენტის შეფასება ხორციელდება დანართის შესაბამისად

დასკვნითი შეფასება - პრაქტიკის დაცვა - 40 ქულა

სტუდენტი პრაქტიკის ანგარიშს იცავს კომისიის წინაშე. კომისიის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია N2 დანართით

პრაქტიკის აქტივობები:

კვირა	**დაგეგმილი აქტივობა**
I	*მაგალითად:* ორგანიზაციის გაცნობა,
II	
III	
IV	
....	

სარეკომენდაციო ლიტერატურა (არსებობის შემთხვევაში):

დანართი #5

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

პრაქტიკის ანგარიშის დაცვის შეფასება კომისიის მიერ

	შეფასების კრიტერიუმები

პრაქტიკის ანგარიში - 20 ქულა	პრაქტიკის ანგარიში ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ● შესრულებული სამუშაოს აღწერა - 5 ქულა ● შესრულებული სამუშაოს შეფასება და რეფლექსია - 5 ქულა ● დასკვნები და რეკომენდაციები - 5 ქულა ● ფორმალური მხარე - 5 ქულა.
ანგარიშის საჯარო დაცვა - 20 ქულა	**პრეზენტაცია - 10 ქულა:** ● პრეზენტაბელურობა - 2 ქულა ● აუდიტორიასთან კონტაქტი - 2 ქულა ● დროის რეგლამენტის დაცვა - 2 ქულა ● პრეზენტაციის დროს გამოყენებული ვიზუალური მასალა - 2 ქულა ● აკადემიური ენა - 2 ქულა **დისკუსია - 10 ქულა:** დისკუსიის შეფასება მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი დასკვნების ინტერპრეტირება, კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვა.
პრაქტიკის დადებითი შეფასებისთვის სტუდენტმა უნდა მოაგროვოს მინიმუმ 21 ქულა	

პრაქტიკის ანგარიშის შეფასება - 20 ქულა:

- **შესრულებული სამუშაოს აღწერა - 5 ქულა**

5 ქულა - პრაქტიკის ანგარიშში სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაო აღწერილია სრულად და დეტალურად.

4 ქულა - პრაქტიკის ანგარიშში სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაო აღწერილია თითქმის სრულად და დეტალურად.
3 ქულა - პრაქტიკის ანგარიშში სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაო აღწერილია ნაწილობრივ.
2 ქულა - პრაქტიკის ანგარიშში სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაოს აღწერა წარმოდგენილია სუსტად და აკლია მნიშვნელოვანი დეტალები.
1 ქულა - პრაქტიკის ანგარიშში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო წარმოდგენილია ძალზე მწირედ და არ იძლევა სრულ სურათს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული სამუშაოს შესახებ.
0 - არ არის წარმოდგენილი ან ვერ აკმაყოფილებს 1 ქულის მოთხოვნას.

- **შესრულებული სამუშაოს შეფასება და რეფლექსია - 5 ქულა**

5 ქულა - პრაქტიკის ანგარიშში სტუდენტი სრულყოფილად და მრავალმხრივ აანალიზებს პრაქტიკის პროცესში მიღებულ გამოცდილებას, ახდენს კრიტიკულ რეფლექსიას, სრულად და ზედმიწევნით აღწერს და აფასებს მის მიერ შეძენილ გამოცდილებას.
4 ქულა - სტუდენტი მეტწილად სრულად და მრავალმხრივ აანალიზებს პრაქტიკის პროცესში მიღებულ გამოცდილებას, ახდენს რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე, სრულყოფილად აღწერს და მეტწილად კრიტიკულად აფასებს მის მიერ შეძენილ გამოცდილებას.
3 ქულა - სტუდენტი ნაწილობრივ ახერხებს პრაქტიკის პროცესში მიღებული გამოცდილების გაანალიზებასა და კრიტიკულ რეფლექსიას.
2 ქულა - სტუდენტი იშვიათად ახერხებს პრაქტიკის ობიექტზე მიღებული გამოცდილების ადეკვატურ შეფასებას, თვითრეფლექსია სუსტად არის წარმოდგენილი.
1 ქულა - სტუდენტი თითქმის ვერ ახერხებს პრაქტიკის ობიექტზე მიღებული გამოცდილების შეფასებასა და რეფლექსიას.
0 - არ არის წარმოდგენილი ან ვერ აკმაყოფილებს 1 ქულის მოთხოვნას.

- **დასკვნები და რეკომენდაციები - 5 ქულა**

5 ქულა - სტუდენტი სრულყოფილად ახდენს მიღებული გამოცდილებიდან რელევანტური დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენას.
4 ქულა - სტუდენტი თითქმის სრულყოფილად ახდენს მიღებული გამოცდილებიდან რელევანტური დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენას.

3 ქულა - სტუდენტი ნაწილობრივ ახდენს მიღებული გამოცდილებიდან რელევანტური დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენას.
2 ქულა - სტუდენტი იშვიათად ახდენს მიღებული გამოცდილებიდან რელევანტური დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენას.
1 ქულა - სტუდენტი თითქმის ვერ ახდენს მიღებული გამოცდილებიდან რელევანტური დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენას.
0 - არ არის წარმოდგენილი ან ვერ აკმაყოფილებს 1 ქულის მოთხოვნას.

- **ფორმალური მხარე - 5 ქულა**

5 ქულა - პრაქტიკის ანგარიში შევსებულია სრულად და დაცულია ფორმალური მოთხოვნები. პრაქტიკის ობიექტის აღწერა სრულადაა წარმოდგენილი.
4 ქულა - პრაქტიკის ანგარიში შევსებულია სრულად და დაცულია ფორმალური მოთხოვნები. პრაქტიკის ობიექტის აღწერის ნაწილს აკლია დეტალები.
3 ქულა - პრაქტიკის ანგარიში შევსებულია სრულად. ნაწილობრივ დაცულია ფორმალური მოთხოვნები. პრაქტიკის ობიექტის აღწერილობითი ნაწილი ნაწილობრივ ასახავს სრულ ინფორმაციას.
2 ქულა - პრაქტიკის ანგარიში შევსებულია ხარვეზებით, უმეტესად არ არის დაცული ფორმალური მოთხოვნები. პრაქტიკის ობიექტის აღწერა სუსტადაა წარმოდგენილი და აკლია მნიშვნელოვანი ინფორმაცია.
1 ქულა - პრაქტიკის ანგარიში თითქმის ვერ აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს. პრაქტიკის ობიექტის აღწერა ძაზე მწირედაა წარმოდგენილი.
0 - ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ანგარიშის საჯარო დაცვა:

პრეზენტაცია - 10 ქულა

	2 ქულა	1 ქულა	0 ქულა
პრეზენტაბელურობა	სრულიად დამაკმაყოფილებელია	ნაწილობრივ	არ არის დამაკმაყოფილებელი
აუდიტორიასთან კონტაქტი	სრულიად დამაკმაყოფილებელია	ნაწილობრივ	არ არის დამაკმაყოფილებელი

დროის რეგლამენტის დაცვა	სრულად იცავს	ნაწილობრივ იცავს	ვერ იცავს
ვიზუალური მასალა	ეფექტიანად იყენებს	ნაწილობრივ ეფექტიანად იყენებს	არაა რელევანტური ან არ იყენებს
აკადემიური ენა	ბუნებრივად და რელევანტურად იყენებს	ნაწილობრივ ბუნებრივად ან რელევანტურად იყენებს	არ იყენებს

დისკუსია - 10 ქულა

10 ქულა - სტუდენტი სრულად და ამომწურავად პასუხობს კომისიის შეკითხვებს. სტუდენტის მსჯელობა გამყარებულია არგუმენტებითა და რელევანტური მაგალითებით. სრულყოფილად წარმოაჩენს საკუთარი დასკვნების სწორად ინტერპრეტირების უნარს. დისკუსიის დროს დასმულ შეკითხვებზე პასუხისას ბუნებრივად და რელევანტურად იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიასა და ეთიკის ნორმებს. ზედმიწევნით იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმებს.

8-9 ქულა - სტუდენტი უმეტესად ამომწურავად პასუხობს კომისიის შეკითხვებს. მისი მსჯელობა გამყარებულია არგუმენტებითა და რელევანტური მაგალითებით. უმეტესად სწორად ახდენს საკუთარი დასკვნების სწორად ინტერპრეტირებას. დისკუსიის დროს დასმულ შეკითხვებზე პასუხისას უმეტესად ბუნებრივად და რელევანტურად იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას. ზედმიწევნით იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმებს.

6-7 ქულა - სტუდენტი ნაწილობრივ ამომწურავად პასუხობს კომისიის შეკითხვებს. მსჯელობისას ნაწილობრივ იყენებს არგუმენტებსა და რელევანტური მაგალითებს. უმეტესად სწორად ახერხებს დასკვნების სწორად ინტერპრეტირებას. დისკუსიის დროს დასმულ შეკითხვებზე პასუხისას ნაწილობრივ ან ნაკლებად ბუნებრივად იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას. უმეტესად იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმებს.

4-5 ქულა - სტუდენტის მიერ გაცემული პასუხები ნაწილობრივ არის გამყარებული არგუმენტებითა და რელევანტური მაგალითებით. ნაწილობრივ ახერხებს დასკვნების სწორად ინტერპრეტირებას. დისკუსიის დროს დასმულ შეკითხვებზე პასუხისას იშვიათად ან ნაკლებად ბუნებრივად იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას. ნაწილობრივ იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმებს.

1-3 ქულა - სტუდენტი კომისიის შეკითხვებს ამომწურავად ვერ პასუხობს. ძალზე იშვიათად ან თითქმის ვერ ახერხებს დასკვნების სწორ ინტერპრეტირებას. დისკუსიის დროს დასმულ შეკითხვებზე პასუხისას თითქმის არ იყენებს, ან არაბუნებრივად იყენებს პროფესიულ ტერმინებს.

0 ქულა - საერთოდ ვერ პასუხობს კომისიის შეკითხვებს ან მოჰყავს აბსოლიტურად შეუსაბამო მაგალითები.

სტუდენტის შეფასება: *სახელი, გვარი*

პრაქტიკის ანგარიში - 20 ქულა	შესრულებული სამუშაოს აღწერა - 5 ქულა	*მიუთითეთ ქულა*
	შესრულებული სამუშაოს შეფასება და რეფლექსია - 5 ქულა	*მიუთითეთ ქულა*
	დასკვნები და რეკომენდაციები - 5 ქულა	*მიუთითეთ ქულა*
	ფორმალური მხარე - 5 ქულა	*მიუთითეთ ქულა*
პრეზენტაცია და საჯარო დაცვა - 20 ქულა	პრეზენტაცია - 10 ქულა	*მიუთითეთ ქულა*
	დისკუსია - 10 ქულა	*მიუთითეთ ქულა*

კომისიის წევრი:

ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი #6

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტის მიერ პრაქტიკის შეფასება

სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის შეფასება

კრიტერიუმები	**ვეთანხმები**	**ნაწილობრივ ვეთანხმები**	**არ ვეთანხმები**	**კომენტარი**
პრაქტიკის ობიექტზე კეთილგანწყობილი გარემო იყო				
ორგანიზაციის თანამშრომლები მზად იყვნენ დახმარებისთვის				
პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფდა საჭირო ინფორმაციის/რესურსების მიწოდებას				

სტუდენტის მიერ მენტორის შეფასება

კრიტერიუმები	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	კომენტარი
მენტორი სტუდენტებისადმი კეთილგანწყობილი იყო				
მენტორი სტუდენტებთან ერთად გეგმავდა და განიხილავდა აქტივობებს				
მენტორი სტუდენტებს ადეკვატურ ინსტრუქციას აძლევდა				
სტუდენტები მუდმივად იღებდნენ უკუკავშირს შესრულებულ დავალებაზე				
მენტორი სტუდენტებს აძლევდა მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას				
მენტორი ხელს უწყობდა სტუდენტებს მიეღოთ მაქსიმალური გამოცდილება				
მენტორი საკმარის დროს უთმობდა სტუდენტებთან კომუნიკაციას				

სტუდენტის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება

კრიტერიუმები	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	კომენტარი
პრაქტიკის დაწყებამდე ხელმძღვანელმა გამაცნო პრაქტიკის სილაბუსი				
პრაქტიკის ხელმძღვანელი საკმარის დროს მითმობდა				
პრაქტიკის ხელმძღვანელი მაძლევდა სათანადო ინსტრუქციას დავალებების შესასრულებლად				
პრაქტიკის ხელმძღვანელი მაძლევდა ადეკვატურ უკუკავშირს შესრულებულ დავალებებზე				
პრაქტიკის ხელმძღვანელი მაძლევდა ჩემი მოსაზრებების ღიად გამოხატვის საშუალებას				

სტუდენტის მიერ სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწევის შეფასება:

პრაქტიკის სილაბუსით დადგენილ სწავლის შედეგებს მივაღწიე:

	სრულად	მეტწილად	ნაწილობრივ მივაღწიე	ვერ მივაღწიე
სწავლის შედეგი #1				
სწავლის შედეგი #2				